ფასი 3 მან.

მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

# ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 19 აპრილი.

№ 6 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139,
ფული უნდა გამოიგზავნოს: რუსთაველის პროსპექტი
სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხ., პლ. ლეჟავას.

წელ. 2. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამხანაგებო!** გახსოვდეთ, რომ „**ახალი ნაკადი**“ თქვენი ინტერესების დამცველია. აიღეთ წვლილი გაზეთის ფონდისათვის და გამოგზავნეთ წერილები. **ამხანაგებო!**

2858

### მუშათა მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.

წინა წერილებში ჩვენ არაერთხელ აღვინიშნავს ის გარემოება, რომ მეოცე საუკუნე მუშათა მოძრაობის ისტორიაში მით არის შესანიშნავი, რომ აღმოცენდენ პოლიტიკურ პარტიათაგან დამოუკიდებელი პროფესიონალური კავშირები თავის მტკიცე ორგანიზაციული წყობილებით. ეს კავშირები სინდიკატებათ ჩამოყალიბდნენ. სინდიკატები ეს ერთი და იგივე პროფესიის მუშათა კავშირია, სადაც შედის ერთი და იგივე ხელობის ყოველი მუშა განურჩევლად მისი პარტიული მიმართულებისა. ასეთ კავშირებს მუშათა მოძრაობისთვის ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მხოლოდ ამ მუშათა ორგანიზაციებს შეუძლიათ შექმნა ნამდვილ მუშურ მოძრაობისა, სინდიკატები თავის საზოგადო ხასიათით ორი ტიპისანი არიან: ერთის მხრივ დიდი და ძლიერი კავშირები რომელნიც სცდილობენ შეაკავშირონ რაც შეიძლება მეტი მუშა, შექმნან დიდი თანხა უსაქმო მუშების დასახმარებლად. მათი მიზანია მატერიალური დახმარებით მუშებს ხელი შეუწყონ ყოველგვარ პროფესიონალურ საქმეებში, ამ მიმართულებას უფრო მშვიდობიანი სინდიკალიზმი ჰქვიან სულ სხვანაირია მეორე ტიპის პროფესიონალური ორგანიზაციები. ამათი მიზანია მუშების იდეიური დახმარება—ნაცვლად მატერიალურისა, ესენი მუშათა მოძრაობაში დამხმარენი კი არ არიან, არამედ გაბედულ, მებრძოლ მოწინავე რაზმის როლს თამაშობენ. ესენი კლასობრივი ბრძოლის ინიციატორები არიან. ამ მიმართულებას კი რევოლიუციონური სინდიკალიზმი ჰქვიან. რევოლიუციონური სინდიკალიზმი უფრო საშიშია ბურჟუაზიულ წრებისათვის, რადგან მას ყოველთვის სოციალურ რევოლიუციის აჩრდილი თან ახლავს. მუშების გაფიცვას აქ ყოველთვის სარევოლიუციო ხასიათი აქვს და მისი დამახასიათებელი ნიშანი გაერთიანებისკენ მისწრაფებაა. სინდიკალური მოძრაობა ყოველთვის უანგაროა, სინდიკალისტებს არავითარი მეორე მიზანი არა აქვთ, ისინი იბრძვიან მხოლოდ მუშათა გასანთავისუფლებლათ. სინდიკალურ მოძრაობას სოლიდარობის პრინციპი ახასიათებს, ე. ი. როცა გაფიცვას ახდენს რომელიმე პროფესიის მუშათა სინდიკატი, დანარჩენი ორგანიზაციები, რომელნიც გაფიცვაში პირდაპირ დაინტერესებულნი არ არიან სოლიდარობის ნიშნად მყისვე გაფიცვას აცხადებენ, რათა მხარი მისცენ ამხანაგებს, ამ მხრივ მათი ორგანიზაციული პრინციპი ფედერალისტურია. როგორ დამოკიდებულობაში არიან პოლიტიკური პარტიები სინდიკალიზმთან? დავიწყოთ სოციალ-დემოკრატებიდან.

სოციალ დემოკრატიულ მოძრაობაში მუშათა პროფესიონალურ კავშირებს ყოველთვის მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავთ. ეს შემთხვევითი კი არ არის, არამედ პროფესიონალური ხასიათისაა. სოციალ-დემოკრატიისათვის თავი-და-თავი მიზანი პოლიტიკურ ძალის ხელში ჩაგდებაა, რომელსაც უნდა მოჰყვეს საზოგადოების ეკონომიურ საფუძვლების შეცვლა. ამ მიმართულებისა უნდა იყოს რევოლიუცია სოც.-დემოკრატების აზრით. მან ჯერ პოლიტიკური ძალ-უფლება უნდა ჩაუგდოს სოც.-დემოკრატებს ხელში, რითაც იგინი ეკონომიურ ცვლილებას მოახდენენ. ეს არის პრინციპიალური რწმენა ამ პარტიისა, ამიტომ მთელი პარტიული ძალ ღონე ხმარდება პოლიტიკას, პოლიტიკურ ორგანიზაციების შექმნას და ლიბერალურ ბურჟუაზიულ ნიადაგზე მოქმედებას. ამიტომ პროფესიონალურ კავშირებს სოც.-დემოკრატები ყოველთვის მეორე ხარისხოვან როლს აკუთნებენ. ამ კავშირებს, მათის აზრით, მხოლოდ შინაური პროფესიონალური საქმეები უნდა ეკ თხებოდეს და არას გზით პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერეოდნენ. ამიტომ სოც.-დემოკრატები მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მხოლოდ გარეგნულად სცემენ პატივს. არსებითად კი მათი მოქმედების შეკვეცას ძლიერ სცდილობენ. სოც.-დემოკრატისათვის ძლიერ სახიფათოა პროფესიონალური ორგანიზაციები რომ პოლიტიკის მაღალ სფეროში ჩაერივნენ, ამიტომ იგინი არცა სცდილობენ ამ ორგანიზაციების თვით მოქმედების გზაზე დაყენებას. ცხადია როგორ ხელოვნურად იყოფა ამ ორ ელემენტს შორის მოქმედების სფეროები: უმაღლეს პოლიტიკას, მართვა-გამგეობას, იდეიურ წინამძღოლობას სოც -დემოკრატების მეთაურები, ეს ახალი არისტოკრატები, კისრულობენ; ხოლო შავ საქმეებს, ვაჭრობის პოლიტიკასა და პოლიტიკურ მოქმედებისათვის ფულის მომოგროვებას ისინი პროფესიონალურ ორგანიზაციებს აკუთვნებენ წინააღმდეგ სოც-დემოკრატების პრინციპიალურ შეხედულებისა, რევოლიუციონური სინდიკალიზმი სავსებით პროფესიონალურ ორგანიზაციებს უწყრება. მისი მიზანია ამ კავშირების საშუალებით საერთო გაფიცვა მოაწყოს, რომელმაც სოციალური გარდაქმნა, უნდა მოახდინოს, დაამხოს ბურჟუაზიული წესწყობილება და მის ადგილზედ თანასწორობის და თავისუფლების წესწყობილება განახორციელოს. მაშასადამე პირველი გარჩევა სოც-დემოკრატიზმის შორის და რევოლიუციონურ სინდიკალიზმის შორის ისაა რომ უკანასკნელი წმინდა კლასიურ ნიადაგზედ სდგას და კლასთა ბრძოლას აწარმოებს, პირველი კი ბურჟუაზიურ ნიადაგზედ და პოლიტიკურ ბრძოლით არის გატაცებული.

როლანდი.

## კონგრესის საყველთაო შრომის კონფედერაციისა.

(გაგრძელება).

თუ თქვენ კვლავ კრიტიკა გინდათ აწარმოოთ მიმართავს დიმულენი უმცირესობას, ჩვენ შორის მაშინ მოხდება გათიშვა. აუცილებელია ყვენ ყველა ვეყვეთ პასუხისმხებელი იმ შემთხვევების, რომლებიც ყველას თანაბრათ შეგვაძრწუნებს ხოლმე. . . დიმულენის შემდეგ სიტყვა მისცეს **ჟუოს**.

თუ, ამბობს ჟუო, კლასთა თანამშრომლობათ მიაჩნიათ მთავრობის მოქმედებაში ჩარევა, მაშინ ასეთ თანამშრომლობაში მე პირადათ წილი არ მიდევს, მაგრამ თუ თანამშრომლობით ღებულობენ ჩვენ სიარულს იქ, სადაც უნდა დაგვეცვა მუშა ხალხის ინტერესები, მაშინ უნდა აღვიარო, რომ ასეთ თანამშრომლობას მე ყოველთვის ვეწეოდი. ის, რასაც მე ჩავდიოდი ყოველგვარ ორგანიზაციებში ომის დროს, პოლიტიკა, რომელსაც მე ვატარებდი ნაციონალურ თავდაცვის კომიტეტში, არ იყო არც ბრძოლის პოლიტიკა, არც კლასთა თანამშრომლობის პოლიტიკა. ეს იყო მხოლოთ უბრალო ადამიანური პოლიტიკა, ადამიანური ნტერესების დასაცავათ, აღვიარებ, იმე არ ვნანობ, ასეთ მუშაობას რომ ვეწეოდი.

ამ რეზოლიუციას დამატებათ დაერთო ჟუოს წინადადება, რომელიც შეიცავდა შემდეგს: დაარსდეს შრომის ეკონომიის საბჭო შრომის საერთო კონფედერაციის თანამშრომლათ ამ საბჭოში უნდა მიწვეულ იყვნენ პროფესიონალურ მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწენი, ცოდნით აღჭურვილნი პირნი და ტექნიკოსები.

შემდეგ კონგრესმა მიიღო რეზოლიუციები: ა) ქალთა თანასწორობისა. ბ) სოფლის მუშათა ფედერაციის დაარსების, გ) პროფესიონალურ ცენტრების დაარსების ალჟირში და ტუნისში, დ) კულტურულ საგანმანათლებო მუშაობის, ტეხნიკურ განათლების, ე) 8 საათის სამუშაოს ცხოვრებაში გატარების და ვ) სოციალურ ჰიგიენისათვის მზრუნველობის შესახებ.

კონგრესის დახურვის შემდეგ ჟუომ სთქვა: „ჩვენ ვაახლებთ მუშაობას ურთიერთ ნდობის ატმოსფერაში უახლოს კონგრესის დროს, თუ მანამდის არ წარმოიშვა რევოლიუცია, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ უფრო მომზადებული ვიქნებით ავხსნათ დიდი რევოლიუციონური ამოცანები.

როცა მე 1915 წ. სხვებთან ერთად, გავემგზავრე ლონდონში ჩვენ გვქონდა ერთი სურვილი აღვედგინა ინტერნაციონალი. რეზოლუცია, რომელიც ჩვენ იქ, მივიღეთ არ შეიცავდა არაფერს შოვინისტურს მაშინ ის დრო იყო, როცა ებრძოდა სამხედრო ძალა მთავრობის ძალას და სურდა მისი დამორჩილება. როცა აქ ლაპარაკობდნენ ყოფილ შინაგან მინისტრის შესახებ და ჩვენს დამოკიდებულობაზე მისადმი მე აქ უნდა გავაცხადო, რომ ეს იყო ერთად ერთი ადამიანი, რომელიცა ენერგიულათ ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ძალას. როცა მერგეიმს წინააღმდეგ წამოაყენეს შეთხზული ბრალდებები და მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა მისი დაჭერა, შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ერთად ერთი კაცი, რომელიც არ დაემორჩილა ამ გადაწყვეტილებას და განაცხადა რომ ის ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს მანამ, სანამ წინასწარ არ მოელაპარაკება პროფესიონალურ კავშირებს, იმ სალამოსვე მე მიმიწვია შინაგან საქმეთა მინისტრმა.

მე შევძელი დამეტკიცებია მერგეიმის სიმართლე და მართლაც ამის შემდეგ მერგეიმის დაჭერის შესახებ განკარგულება „უკანვე დაბრუნებულ იქმნა. შემდეგ როცა გენერალურმა შტაბმა გადაწყვიტა შეეცვალა ყველა „პრეფექტები“ და „სუ პრეფექტები“ გენერლებით მე ამ დროს მივმართე შინაგან საქმეთა მინისტრს და უთხარი „თქვენ უნდა აიმაღლოთ სამინისტრო ხელიშეუშალონ ამ განძრახვის სისრულეში მოყვანას, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდით მთავრობიდან და მუშა კლასთან ერთად გასწიეთ საწინააღმდეგო ბრძოლა“. მას და მე გვეკუთნის ინიციატივა მაშინდელი „ცეზარული განზრახვების ჩახჩობისა.» მე მოხარული ვიყავი, დამეცვა ეს ბურჟუა, ამბობს ჟუო, უმაღლეს სასამართლოს წინაშე, რადგან უნდა აღინიშნოს, რომ ის იცავდა მუშებს გაცილებით უფრო მედგრათ ვიდრე სხვები. ჟუო სწუხს, რომ მისი აზრი გაიგეს ცუდათ და ფროსსარბა დასწამა მარქსიზმის ჩამოშორებაც კი, მე ყოველთვის, განაცრძობს ჟუო, უდგებოდი, ყოველგვარ მდგომარეობას პროფესიონალური მოძრაობის თვალსაზრისით. როდესაც მე ვამბობდი შიმშილზე, სრულიათაც არ მსურდა ამით დამემცირებია რუსეთის რევოლიუცია პირიქით მინდოდა მიმეთითებია, თუ როგორი უნდა იყოს საწარმოვო ორგანიზაცია, რომ უზრუნველ ვყოთ რევოლიუციის გაგრძელება, იმ დროს როდესაც სოციალისტური **პარტიები უმზადებენ ნიადაგს პოლიტიკურ რევოლიუციას, პროფესიონალური კავშირების დანიშნულება შეამზადონ ნიადაგი ეკონომიურ რევოლიუციისთვის.**

ჟუოს სიტყვის შემდეგ იყო გამოქვეყნებული 2 რეზოლიუცია, უმცირესობის რეზოლიუცია შეიცავს პროგრამას და ტაქტიკას უმცირესობისას და ბრალდებას უმრავლესობის მოქმედებისას 21 ივლისს მომხდარ ამბების გამო, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო შრომის კონფედერაციის პოლიტიკის შედეგათ ომის გამოცხადებიდან. რეზოლიუცია თავდება სი-

ტყვებით „გაუმარჯოს საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკას“ კენჭისყრის შედეგი შემდეგი იყო მომხრე აღმოჩნდა 324 წინააღმდეგი 1633 43 კი თავი შეიკავა. ამნაირათ უმცირესობის რეზოლიუცია უარყოფილი იყო. უმრავლესობის მიერ მიღებულ იყო რეზოლიუცი ჟუოსი: რომელიც შეიცავდა შემდეგს. **კონფედერალური კონგრესი კვლავ აღიარებს, რომ პროფესიონალური მოძრაობა იდეალათ ისახავს ძირითად ცვლილებებს თანამედროვე** საზოგადოებისას, მოსპობას კერძო საკუთრების და საურთიერთო შრომის დაწესებას. კლასთა ბრძოლა ისპობა მხოლოთ მაშინ, როცა მოისპობა საზოგადოების დაყოფა კლასებათ და დამყარდება კოლექტივიზმი.. სინდიკალიზმი აცხადებს, რომ ის თავისი წარმოშობით და ხასიათით რევოლიუციონური მოძრაობაა რომ ის აერთებს ყველა მუშას განურჩევლათ მათის პოლიტიკური რწმენისა მისი ყოველდღიური საზრუნავია მუშათა კლასის შეერთება და მათი ეკონომიურათ უზრუნველ ყოფა. ამასთანავე იგი ამზადებს ნიადაგს მათი განთავისუფლებისას ერისთვისაც იგი ეწევა ექსპროპრიაციის ექსპლოატორებისას სინდიკალისტების [illegible] საერთაშორისო შეტევაა. სინდიკატი რომელიც თანამედროვე პირობებში მებრძოლი ორგანიზაციაა მომავალში უნდა შეიქმნეს წარმოების და ნაწარმოების განაწილების ორგანოთ. **კონგრესი მოუწოდება მუშებს გააძლიერონ წარმოებს რისი აუცილებლობაც დაბადა იმ საშინელმა პირობებმა რომელიც** შეიქმნა ომის გამო. თავის ყოველდღიურ საზრუნავთა შორის შრომის კონფედერაცია პირველ ადგილს უთმობს კოლექტიურ ხელშეკრულებებს. შემცდარი იქნება ეს ვინც ამ ხელშეკრულებაში დაინახავს კლასთა თანამშრომლობას. კოლექტიური ხელშეკრულებანი ზღუდავენ მეპატრონის უფლებებს, ეწევიან მუშათა ძალის დახარჯვის ეკონომიას და წარმოებაში აწესებენ სინდიკატების კონტროლს, წარმოების და ეკონომიურ პოლიტიკის დროს შრომის კონფედერაცია პირადი ინტერესით კი არ ხელმძღვანელობს, იგი მოქმედობს საერთო საზოგადოებრივი ინტერესით. კონფედერაცია მოითხოვს თანამედროვე მეურნეობის მთავარ დარგების ნაციონალიზაციას, როგორც არის: რკინის გზა, ზღვის ტრანსპორტები, მადნეულება, ქვანახშირი, ბანკები და სხვა.. ამ საშუალებით კონგრესის კი არ უნდა, რომ ჩამოთვლილი წარმოებანი გადვიდეს სახელმწიფოს ან ჩინოვნიკების ხელში; მისი სურვილია ამ დარგებს პატრონობდენ საქმით დაინტერესებული შეერთებული მწარმოებელნი და მომხმარებელნი კონგრესი კვლავ აღიარებს ხალხთა თვითგამორკვევის სრულ უფლებებს. იგი სიმპატიით ეპყრობა რუსეთის რევოლიუციას და პროტესტს აცხადებს რუსეთის საქმეებში იარაღით ჩარევის და ბლოკადის წინააღმდეგ. სოლიდარობის დასამტკიცებლათ რუსის ხალხთან კონგრესი ავალებს კონფედერალურ ბიუროს მოთხოვს პროფესიონალურ კავშირებს რათა მათ იძულებულ ჰყონ თავიანთი წევრები უარი განუცხადონ საომარი იარაღის და სურსათის გადატანაზე, რომელიც ეგზავნება დენიკინის და კოლჩაკის ჯარს.

აგრეთვე ევალება ამავე ბიუროს კავშირი ჰქონდეს ცენტრალურ საერთაშორისო პროფესიონალურ ბიუროსთან და მისი საშუალებით ყველას აცნობოს განზრახვა დენიკინის და კოლჩაკის წინააღმდეგ მიღებულ ზომებისა. კონგრესი მოითხოვს დაუყონებლივ განხორციელდეს ამსტერდამის რეზოლიუცია, რომელიც შეიცავდა რუსეთში თავის დელეგაციის გამოგზავნას. დასასრულ გამოხატავს რა ერთსულოვან ნებისყოფას მუშათაკლასის, რომელიც გმობს **მოკავშირეთა ქვეყნების რეაქციონურ პოლიტიკას, კონგრესი მოითხოვს დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას რუსეთის რევოლიუციისთან.**

## მუშათა მოძრაობა საქართველოში და მენშევიკები.

საქართველოში მუშათა მოძრაობა დღეს დღეობით ძალზე მოდუნებულია, კლასთა განთავისუფლების ბრძოლამ სრულიად დაჰკარგა სახე და რევოლიუციონური სული: წინად ჩვენში მუშათა მოძრაობას ამღორძინებელნი იყვნენ. წვრილი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელმაც ვერ შესძლო თვისი დანაპირებების შესრულება, საზოგადოთ მაშინ საქართველოს მშრომელი ხალხი და განსაკუთრებით მუშები, გაწერთხული იყვენ პოლიტიკურად და ეროვნულად. პოლიტიკური ბრძოლის დროს კი მონა კი ისევ მონობას განიცდის და მისი უთანასწორო ჯაჭვი კვლავ დაუგლეჯელია მშრომელი ხალხის უმრავლეს ნაწილს ის პოლიტიკური პარტია აცურავებს რომელსაც საქართველოში ძალა უფლების, გმირულ ბრძოლაში საისტორიო სახელი აქვს მოხვეჭილი შემდეგში იგი იმდენად ემსახურებოდა მუშებს, რამდენათაც აინტერესებს და ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, თფილს და საბოტონო სავარძლებზე წამოსკუფება ეს არის პოლიტიკური პარტიების უმთავრესი მიზანი, ამგვარი გზა კი ვერ დაიხსნის მუშებს იმ ბურჟუაზიის კლანჭებისაგან.

ჩვენი გზა და სურვილია, მუშამ თვით შეიგნოს თვისი საქმების გამოსწორება, თვისი ბედის გამომჭედელიც გახდეს.

დღეს ჩვენ შეგვიძლია შევქნათ საქართველოში დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობა, მიუთითოთ მშრომელ კლასის კლასიურ ეკონომიური გათანასწორებისაკენ, სადაც უნდა საბოლოოდ ლაიმსხვრეს ის უთანასწორობა, რომელიც გაჰქდილია ადამიანთა ერთი ნაწილის ეკონომიური მონებისთვის.

დღეს მართალია, საქართველოში როგორც ზემოდ ვსთქვით, მუშათა უმრავლესი ნაწილი შეცრუებულია იმ პოლიტიკურ ჰაოსში, საიდანაც ვიწრო ბურჟუაზიული სასახლები შენდება, მაგრამ ნუ თუ ჩვენი მუშები ვერ ხედავენ და ვერ ამჩნევენ იმ სასახლების უზარ-მაზარ კედლებს რომლის აგურებსაც თვისი ზურგით ეზრდებიან ან ხედავენ მაგრამ ველარ სცილდებიან. ან მიიზიდა თითო ოროლა მუშა ბურჟუაზიულმა პოლიტიკამ, რომელიც თავის განსაკუთრებულ ქსელში ახვევს და ავიწყებს მუშათა საქმიანობას!!? მაგრამ ყველა ამაში ბრალი უძღვის ჩვენში მართველი პარტიას, რომელმაც ძალა-უფლება ხელთ იგდეს და მუშათა საკითხიც მიაფუჩეჩა.

დღეს მუშებს ცარიელი სიტყვებით ჰკვებავენ, ბურჟუაზია კი ფაქტიურად ისქელებს ჯიბეებს. რა კი ამ გზას დაადგა მენშევიკების პარტია იგი უნდა გამოეთხოვოს მუშათა პარტიის სახელწოდებას და სავსებით მიეცეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცებას, სხვა და არარ. არის ამას უნდა მივაქციოთ მუშებმა უმთავრესი ყურადღება რომ ამ მოვლენამ არ შთანთქას და არ მიასომაროს ჩვენი მომავალი ბედნიერების იმედები ის იმედები, რომლის მოლოდინის ოცნებით სტკბებოდა ერთი ნაწილი ჩაგრული კლასისა დღეს ჩვენში არსებითად არ შეცვლილა მდგომარეობა მუშათა კლასის და, როგორც სჩანს, შორს გადასდებს-კლასიურ-ეკონომიურ გათანასწორებას.

საჭიროა კლასიურ ფარგლებში გაჩერება და ბრძოლა რევოლიუციონური, რომ მუშებმა კვლავ შეინარჩუნონ რევოლიუციონური და სოციალისტური სახე. მაგრამ არსებული უკუღმართი პოლიტიკით იმდენად მოადუნეს მუშათა მოძრაობა ბურჟუაზის სასარგებლოთ, რომ დაწყებულთან შედარებით დიდი შეჩერება ემჩნევა.

ყველა დარგში ხსენებული პარტიის თითო ოროლა მოწინავე მუშა, რომლებიც ჩხ ვილით ყურებს გვიჭედდენ, სოციალიზმი და სხვაო...

დღეს ამაზე კრინტსაც აღარ სძრავენ. მაგრამ დახე პოლიტიკას, ამნაირ მჩხავანებს, როგორც მტირალა ბავშს გასაჩუმებლად კვერცხს მისცემენ მათ კიდევ დაურიგეს თითო ოროლა საკენკი და უთხრეს: ხმა არ ამოიღოთ პირადობა სიტკბოებმა ისინი მიიზიდა, საერთო მოძრაობისთვის კი ნაკლებად იწუხებენ თავს ამნაირი ტაქტიკით წვრილმა ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ ეს ელემენტები თვის ერთგულ ლაქიებათ გამოიყენა! ყოველ გვარ საკითხში, რაც არ უნდა სთქვან, თავის თითიებით უბრალო მანქანასავით ხმარობენ.

ეს მოვლენა ბევრ რამეს გვეუბნევა და ბევრ რამეს გვავალებს.

**გგ. ნავარძელი.**

## პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს რეზოლიუცია!

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს სხდომები ხდებოდა, ამსტერ დამში 5 და 6 მარტს.

ბიურომ იქონია მსჯელობა საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობაზე სიძვირის განუწყვეტელი ზრდის გამო და მიიღო რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ომის შედეგების ლიკვიდაციას, მშვიდობიან მდგომარეობის დამყარებას და შეიარაღებისათვის წარმოებულ ხარჯებისაგან ხალხთა განთავისუფლებას რეზოლიუციაში ნათქვამია აგრეთვე ნედლი მასალის საერთაშორისო მასშტაბით გაწესრიგებისათვის ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობა და საერთაშორისო გაცვლა—გამოცვლის მკვიდრი ბაზის შექმნა.

ბიურომ დაადგინა: პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო საბჭოს სხდომებზე, რომელიც აპრილში შესდგება, დასვას გასარკვევათ საკითხები წარმოებათა და გაცვლა—გამოცვლის ნაციონალიზაციის და სოციალიზაციის შესახებ. ამ საკითხების შესახებ ბიუროსგან მიღებული რეზოლიუციები საფუძვლათ დაედებიან საერთაშორისო დემონსტრაციების ლოზუნგებს 1 მაისის დღეს. ავსტრია და უნგრეთის დამშეული მცხოვრებლების მდგომარეობით შეწუხებულმა ბიურომ დაადგინა, კვლავ მიმართოს მოწოდებით საერთაშორისო სოლიდარობას. ის საშინელი უბედურებანი, რომელთაც განიცდის ამ ქვეყნების პროლეტარიატი, თხოულობენ დაუყონებლივ და ნამდვილს სოლიდარობის გამოჩენას მთელი ქვეყნის პროლეტარიატის მხრივ. მოხსენდა რა თეთრი ტერორის სიმკაცრე უნგრეთში პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიუროს, მან მიმართა მთელი ქვეყნის პროლეტარიატს შემდეგი მოწოდებით:

ყველა ქვეყნების შეკავშირებულ მუშებს ამხანაგებს! პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიურო 5 და 6 მარტის თავის სხდომებზე გაეცნო იმ საშინელ ენით აუწერელ დევნას, რომელსაც განიცდის უნგრეთის მუშა ხალხი, სადაც ეხლახან თეთრი ტერორის რეჟიმია გამეფებული ათი ათასი ქალი და კაცი ჩაყრილი იყვენ ციხეში და კონცეტბიულ ბანაკებში, სადაც მათ საშინლათ სცემდენ და აწამებდენ მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი პროფესიონალ ორგანიზაციის პროფესიონალურ კავშირთა წევრები იყვენ. 5 ათასზე მეტი ამათგან დასჯილნი იყვნენ გამოუძიებლსთ და გაუსამართნებლათ.

ასი ათასი იმყოფება ამ მუქარის ქვეშ; მათ იგივე ბედი მოელისთ, თუ ბოლო არ მოეღო მმართველ კლასების სისხლის სმელობას.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიურო მთელი ქვეყნის შეკავშირებულ პროლეტარიატის მოვალეობათ სთვლის, რომ ყოველგვარი ზომების მიღებით ხელი შეუშალოს უნგრეთის მუშათა მოძრაობის შეჩერებას და მუშათა ორგანიზაციების საუკეთესო წევრების ამოხოცვას. კაცთმოყვარეობის ელემენტარული პრინციპების დასაცავათ, ბიურო ენერგიულ პროტესტს აცხადებს სიკვდილით დასჯის და წამების გამო რომელთაც აქამდე ადგილი ჰქონდათ.

ბიურო ითხოვს, რომ უნგრეთის მთავრობამ ყოველ-გვარი დევნა მოსპოს. ბიურო მოითხოვს, აგრეთვე, რომ მოკავშირე ქვეყნების მთავრობებმა აიძულოს უნგრეთის მთავრობა, რომ მან სავსებით დააკმაყოფილოს ჰუმანებით მოთხოვნილებანი საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირებისა ბიურო აცხადებს, რომ იგი მიმართავს უფრო ენერგიულ ზომებს თავისი მოთხოვნილებათა დასაცავათ, იმ შემთხვევაში თუ არ იქნებიან ციხეებიდან და კონცერტიულ ბანაკებიდან განთავისუფლებულნი და ბოლო არ მოეღება უნგრეთის მთავრობის და ოფიცერთა ბანდების რეპრესიებს.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ბიურო მიმართავს მთელი ქვეყნის პროფესიონალურ კავშირებს, განსაკუთრებით რკინის გზის და ტრანსპორტ ყველა მუშებს, აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს მოწოდებით რომ მათ შემდეგში საერთაშორისო ბიუროს სიგნალით, უარი განაცხადონ ყოველ-გვარ საქმეზე, რომელიც კი პირდაპირ, თუ არა, არა პირდაპირ ემსახურება თანამედროვე უნგრეთის მთავრობის მოთხოვნილებებს ამხანაგებს! პრ. კავშირთა საერთაშორისო ბიურო აცნობს თავის მოთხოვნილებებს უნგრეთის და მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნებებს. იმათი პასუხისაგან დამოკიდებულია საჭირო იქნება თუ არა უფრო ენერგიული ზომები.

თუ დევნა კიდევ გაგრძელდა მაშინ ჩვენ, ჩვენ უნგრეთის ამხანაგების წამებისთვის და სასტიკი დასჯისათვის, სრულ ბოიკოტით ვუპასუხებთ უნგრეთის მთავრობას, ამ თეთრი ტერორის სამეფოს. პროფ. კავშირთა საერთაშორისო ბიუროს თქვენი იმედი აქვთ—ამხანაგებო!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა საერთაშორისო სოლიდრობას!

### გერმანიაში.

**პროფესიონალური კავშირები და ფაბრიკა-ქარხნების საბჭოები.**

გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ გამოსთქვა იმ მისწრაფების საწინააღმდეგო აზრი, რომელსაც სურს ფაბრიკა-ქარხნების საბჭოებში არჩევნეეს პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი მისცეს. ასეთი ტაქტიკა საზარალოთ იმოქმედებს საბჭოთა შემდეგ მუშაობაზე, რომლის მიზანი—წმინდა სამეურნეოა—და ზიანს მიაყენებს მუშათა პროფესიონალურ მისწრაფებათ. ამისათვის კანდიტათა სიის შედგენის დროს არ უნდა ვიხელმძღვანელოთ კანდიტატის პოლიტიკური შეხედულებით, არამედ მისი პროფესიონალური მოძრაობის სტაჟით, ტეხნიკური მომზადებით, მუშათა ინტერესებისადმი ერთგულებით და ზნეობრივი სიმტკიცით.

საბჭომ ამის სათანადო დირექტივები დაუგზავნა ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებს.

## ნაწყვეტი ფიქრები.

№-ს

მიყვარს გაცრეცილი, მკრთლად მოღურბლილი გაზაფხულის საღამო, იგი მაგონებს ჰლექით დაავდებულ უნუგეშოთ დარჩენილ განსპეტაკებულ გრძნობით მშვენიერ ქმნილების სევდიან სახეს; იგი ღრმა და საიდუმლოებით მოცულია ისე, ვით სიკვდილის პირს მდგომი სიცოცხლეს მონატრული, მკრთალი სხივებით გაცისკროვნებული თვალებ მიბნელილი ავადმყოფი ქალწული.

მიყვარს ასეთი საღამო, რადგან განწყობილება შექმნილი მითი ნაზათ შეზავებულ სევდებით, სიამოვნების ნექტარის მომგვრელია. მასში ჩაქსოვილ სიცოცხლისაკენ დაუსრულებელი ძიება-ცხოვრების შინაარსი და სიკვდილის აჩრდილით გამოწვეული განცდილი უნუგეშობა.

ასეთია სიკვდილის სარეცელზე მდებარე თაფლის სანთელი, რომელიც იწვის ზეციურ სიყვარულისა თვის-მის სალოცავისათვის, ვით ხატის წინაშე ანთებული კელაპტარი.

მისი ლტოლვა ბედნიერებისაკენ მარადიულია-ვით მოახლოვებული სიკვდილი. მომაკვდავის გიშრის სფეროები, უნუგეშოთ მფრქეველნი ვით სიცოცხლის არარაობას ისე მის სიღრმესაც კარნახობენ საშინელია ასეთის შეცნობა...

ჰლექიანის სიცოცხლე საღამოს ღრუბლიანი სინათლეა, მთელი თავის საიდუმლოებით, რომელსაც შემცნობელი წყვდიადით მოცული სიბნელე მოყვება ბედნიერების ძიება უბედურების ჩარჩოში-სიცოცხლის დასასრულია.

დემნა.

გამოდის

„კრონოსის სარკის“
№ 3

მონაწილეობენ პოეტები: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ტ. გრანელი, (წალენჯიხელი). კონე სპერელი ს. ერთაწმინდელი, სერგო კლდიაშვილი, აკ. ბერეკაშვილი, რაჟდ გოგოხია, გ. ბრონშტეინ, ჰერკულეს ყანჩელი, და ა შენგელაია.

რედაქტორ გამომცემელი
კოლეგია

ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა სტამბა, რუსთაველის პროსპექტი, № 26.